შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ლ ტ ე რ ბ რ ი ჯ ი

სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტით სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული მექანიზმები და დაფინანსებისთვის დადგენილი კრიტერიუმები.

1.2. აღნიშნული წესის თანახმად, სასწავლო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დასაფინანსებლად ადგენს ობიექტურ, გამჭვირვალე, სამართლიან და ხარისხზე ორიენტირებულ პროცედურებს, რათა ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას.

1.3. აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლებისა და სამეცნიერო პოტენციალის განვითარების ხელშესაწყობად სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებს შიდა საგრანტო კონკურსს დაფინანსების ერთიანი სისტემის წინასწარ განსაზღვრულ პრინციპებზე დაყრდნობით.

მუხლი 2. დაფინანსების ფორმა და მოცულობა

2.1. სასწავლო უნივერსიტეტის დადგენილი წესით შიდა დაფინანსებისთვის უპირატესობა ენიჭება ალტერბრიჯის აფილირებული პერსონალის მიერ განსახორციელებელ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს ან აქტივობებს.

2.2. კვლევითი საქმიანობის დაფინანსების ხელშესაწყობად სასწავლო უნივერსიტეტი ყოველი წლის ბიუჯეტში მიზნობრივად განსაზღვრავს ფინანსური რესურსის მოცულობას, რაც შეადგენს საერთო ბიუჯეტის 7 - 10 %-ს წინასწარ დადგენილი ოდენობით ან შემდგომი მზარდი პრინციპით.

2.3. ყოველწლიურად შერჩეული ბიუჯეტი განკუთვნილია პროექტის სრული დაფინანსებისათვის, ასევე თანადაფინანსების უზრუნველსაყოფად.

2.4. აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის დაფინანსების პროცედურა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

2.4.1. შიდა საგრანტო კონკურსით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო;

2.4.2. ადგილობრივ ან საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან ერთობლივად განსახორციელებელი პროექტი;

2.4.3. სტატი(ებ)ის გამოქვეყნება ადგილობრივ/საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში;

2.4.4. სამეცნიერო პუბლიკაციის / კრებულის / სახელმძღვანელოს გამოცემა;

2.4.5. პროფილურად შერჩეული წიგნის თარგმნა;

2.4..6. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ კონფერენციის ორგანიზება;

2.4.7. ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;

2.5. ახალგაზრდა მკვლევრებთა მოსაზიდად განხილვას ექვემდებარება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უშუალო ხელმძღვანელობით ან ჩართულობით მაგისტრანტების ან/და კურსდამთავრებულების კვლევითი პროექტის დაფინანსების საკითხი.

მუხლი 3. უნივერსიტეტის შიდა საგრანტო პროექტები

3.1. შიდა საგრანტო დაფინანსებისთვის სასწავლო უნივესიტეტი განსაზღვრავს გრანტის საჭიროებიდან გამომდინარე თანხის მოცულობას, რაც გაიცემა მხოლოდ საკონკურსო პირობებისა და ამ დოკუმენტით განსაზღვრული რეგულაციების დაცვით.

3.2. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ამტკიცებს საგრანტო კონკურსის პრიორიტეტებსა და მის თემატიკას, კრიტერიუმებსა და დაფინანსების პირობებს, რაც ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის საიტზე.

3.3. გრანტში მონაწილეობის პრიორიტეტი ენიჭება სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს და მაგისტრანტს. მონაწილეობის უფლება ასევე აქვთ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალს, ადგილობრივ ან მოწვეულ მეცნიერ-თანამშრომელს.

3.4. შიდა საგრანტო კონკურსში სამონაწილეოდ რექტორის სახელზე განაცხადი იწერება აფილირებული პერსონალის მიერ (იხ. განაცხადის დანართი)

3.5. განხილვადია მხოლოდ ის განაცხადი, რომელშიც მონაწილე პირთა 70% არის ალტერბრიჯის აფილირებული აკადემიური პერსონალი.

3.5. სასწავლო უნივერსიტეტი განსაზღვრავს საგრანტო პროექტის წარდგენის და საგრანტო განაცხადის შეფასების პროცედურებს, რომელიც გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის საიტზე, საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

3.6. გრანტის მისაღებად წარდგენილ პროექტებს განიხილავს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემსწავლელი კომისია, ხოლო პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცენტრი, რომელიც ამზადებს ანგარიშს აკადემიური საბჭოს წინაშე განსახილველად.

მუხლი 4. გარე სამეცნიერო კონფერენციაში / პროექტში მონაწილეობის მიღება

4.1. ამ მიზნით დაფინანსების მოსაპოვებლად უპირატესობა ენიჭება მომხსენებლად მიწვეულ აკადემიურ პერსონალსა და იმ მაგისტრანტს, რომლის სამაგისტრო ნაშრომი შეესაბამება საკონფერენციო ან პროექტით გათვალისწინებულ თემატიკას.

მუხლი 5. პუბლიკაციის დაფინანსება

5.1. ადგილობრივ/საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, სტატიის გამოსაქვეყნებლად, აკადემიურ აფილირებულ პერსონალს შეუძლია წელიწადში ერთხელ მოიპოვოს დაფინანსება

5.2. აფილირებულ აკადემიურ პერსონალი უფლებამოსილია მოითხოვოს დაფინანსება სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად (წიგნი, თარგმანი...). პრიორიტეტი ენიჭება საგანმანათლებლო პროცესთან ინტეგრირებულ ნაშრომს.

მუხლი 6. საგრანტო კვლევითი პროექტის შემსწავლელი კომისია

6.1. რექტორის ბრძანებით იქმნება სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემსწავლელი კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საგრანტო განაცხადით წარმოდგენილ კვლევითი პროექტის სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებასთან დაკავშირებით.

6.2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მინიმუმ 3 წევრით, რომელთა შორის დასაშვებია იყოს:

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;
- სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის წარმომადგენელი;
- შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი გარე ექსპერტი

6.3. წევრების შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

6.3.1. წევრს უნდა ქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი

6.3.2.შესაბამის სფეროში კვლევითი ან/და საგანმანათლებლო-პედაგოგიური საქმიანობის მინ. 3 წლიანი გამოცდილება;

6.3.3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიხედვით გამოქვეყნებული პუბლიკაციები ან/და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;

6.4. კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ წარმოდგენილ განაცხადს და ხელმოწერით ადასტურებენ ერთობლივად მომზადებულ შემაჯამებელ დასკვნას, რომელსაც თან ერთვის წევრთა ინდივიდუალური შეფასება.

6.5. კომისია უფლებამოსილია გადაწყვიტოს:

6.5.1. საგრანტო პროექტის სრული დაფინანსება;

6.5.2. საგრანტო პროექტის ნაწილობრივი დაფინანსება შესაბამისი მოცულობის მითითებით;

6.5.3. უარი განხილული პროექტის დაფინანსებვაზე;

კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე შერჩეულ პროექტის ხელმძღვანელთან გაფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურად აისახება კვლევითი პროექტის დაფინანსების ეტაპები, მოცულობა, ანგარიშსწორების ფორმა, კვლევაში ჩართული პირები / მკვლევრები (აქტივობის / გამოცდილების მითითებით).

მუხლი 7. დაფინანსების მისაღებად განაცხადის წარდგენა და განხილვა

7.1. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის განსახორციელებლად ფინანსური მხარდაჭერისთვის განაცხადი იწერება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე (იხ. დანართში მოცემული განაცხადის ფორმა).

7.2. საგრანტო კონკურსის შემთხვევაში მონაწილეთა ინფორმირებასა და პროცესების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ცენტრს.

7.3. შიდა საგრანტო კონკურსზე განაცხადის მიღება და საგრანტო პირობები ცხადდება საგრანტო კონკურსის დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

7.4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი განაცხადს წარადგენს საგრანტო პროექტით გათვალისწინებული წესის თანახმად დადგენილ ვადაში.

7.5. განაცხადების დაფინანსების შესაძლო არეალს განაპირობებს საერთო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მოცულობა, განსახილველი პროექტების საჭიროება და რაოდენობა.

7.6. თანაბარი შეფასების შემთხვევაში დაფინანსების მისაღებად უპირატესობა ენიჭება მაგისტრანტთა ჩართულობით განსახორციელებელ პროექტებს.

7.7. დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება კონკურსანტებს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 8. საგრანტო პროექტის შეფასების გასაჩივრება

8.1. საგრანტო პროექტში მონაწილე კანდიდატი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიის შეფასებას და გაასაჩივროს გაცნობიდან 4 კალენდარული დღის მანძილზე.

8.2. კანდიდატის მიერ შეფასების გაცნობის თარიღად განისაზღვრება ოფიციალურად ელექტრონული ფოსტით მიღებული შეტყობინება.

8.3. საჩივრის განსახილველად კანდიდატმა უნდა წარადგინოს არგუმენტირებულად დასაბუთებული პოზიცია რექტორის სახელზე, რომლის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია.

8.4. კომისიის მიერ განაცხადის ხელახელი შეფასების შედეგად საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში კვლევითი საქმიანობის ცენტრი შუამდგომლობით მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს განმეორებით შეფასებული განაცხადისთვის დაფინანსების მოპოვების თაობაზე.

მუხლი 9. საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის ანგარიშვალდებულება

9.1. დადებითად შეფასებულ საგრანტო პროექტის ხელმძღვანელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც განისაზღვრება პროექტის მიმდინარეობის შესახებ პერიოდული და საბოლოო ანგარიშის მომზადება-წარდგენა კვლევითი საქმიანობის ცენტრისა და აკადემიური საბჭოს წინაშე. (იხ. დანართში ანგარიშის ფორმა)

9.2. პროექტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ, განახორციელოს გარკვეული ცვლილება შესასრულებელ აქტივობებთან / ვადებთან დაკავშირებით, რის შესახებაც წინასწარ უნდა აცნობოს კვლევითი საქმიანობის ცენტრს.

9.3. დასრულებული კვლევითი პროექტით მიღებული შედეგები სასწავლო უნივერსიტეტის საიტზე განთავსებით საჯაროდ ხელმისწავდომია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა თუ სხვა დაინტერესებულ პირთათვის.